კონცეპტუალური ხელოვნება: ონ კავარას თარიღების სერია

“ხელოვნება არის რთული.

ის არ არის გართობა[1].”

ანსელმ კიფერი

მოამზადა თათია ბარბაქაძემ

გერმანელი არტისტის ანსელმ კიფერის ციტატა ხელოვნების სირთულის შესახებ თანამედროვე ვიზუალურ ხელოვნებას მიემართება. დღეს ხელოვნების აღქმა, გაგება-გააზრება იმაზე უფრო რთული, კომლექსური და შრომატებადი პროცესია, ვიდრე ეს უწინ იყო. “ნამუშევრების სირთულეს” ბევრი მიზეზი აქვს და ის დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე. ფაქტორების ერთობლიობა ქმნის კონტექსტს. ამიტომ ვიზუალური ხელოვნების ნიმუშის ანალიზისას კონტექსტის გააზრება უმნიშვნელოვანეს დატვირთვას იძენს. ხელოვნების გამომსახველობითი ენის ცვლილება მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის პოლიტიკურ კონტექსტთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ევროპაში ტოტალიტარული რეჟიმების დამყარების შემდეგ, როდესაც ეთნიკური წარმოშობა და თავისუფლად აზროვნება სახელმწიფოს მხრიდან დასჯადი გახდა, ინტელექტუალთა დიდი ნაწილი ევროპიდან ამერიკაში ემიგრირდა. ამერიკა მათ შესაძლებლობის ქვეყანად ესახებოდათ და, ეს მართლაც ასე იყო. ნიუ-იორკის სახელოვნებო გარემო არტისტებისთვის, მთელი მსოფლიოდან, განვითარებისა და თვითრეალიზაციისთვის სივრცესა და პირობებს ქმნიდა. ამიტომ ლოგიკურია, რომ ომის დასრულების შემდეგ თანამედროვე ხელოვნების ცენტრმა ევროპიდან ამერიკაში გადაინაცვლა.

1950-იან წლებში ევროპა ჯერ კიდევ ომის ტრავმებს იშუშებდა. მეორე მსოფლიო ომის შედეგებმა, ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილმა საკონცენტრაციო ბანაკების ფოტოებმა და იაპონურ ქალაქებში ატომური ბომბის მსვერპლმა ხელოვანები მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მათ სათქმელს გამოხატვის ახალი ფორმები სჭირდებოდა. აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი, არტე პოვერა, ფერადი ველის მხატვრობა, კონცეპტუალური ხელოვნება და ვიზუალური ხელოვნების ყველა სხვა მიმართულება ერთმანეთის გვერდი-გვერდ თანაარსებობდა და გამოფენაზე მისულ მაყურებელს სულ სხვადასხვანაირი ენით ესაუბრებოდა. გამოსახვის მანამდე არსებული ფორმები და მასალები მხატვრულმა ექსპერიმენტებმა და ახალმა მასალებმა (მედიუმებმა) ჩაანაცვლეს. ამას მოჰყვა ხელოვნების დარგებს შორის ზღვრის წაშლა. შესაბამისად, “სკულპტორისა” და “მხატვრის” ცნება “არტისტმა” შეცვალა. დღეს კი, ყველა ის ხელოვანი, რომელიც ნამუშევრის შექმნისას თანამედროვე ხელოვნების ენას იყენებს „არტისტის“ სტატუსით სარგებლობს.

კონცეპტუალური ხელოვნება 1960-70-იან წლებში ჩამოყალიბდა. ამ ტიპის ხელოვნებაში ყველაზე დიდი მნიშვნელობა ნამუშევრის იდეას/კონცეფციას ენიჭება. საშუალებები კი, რომელთა დახმარებითაც ნამუშევარი იქმნება, ცვალებადი და მრავალფეროვანია. პირობითად, კონცეპტუალური ხელოვნების ნიმუში შეიძლება იყოს მხოლოდ წარწერა. ამიტომ თავდაპირველად, ნამუშევრები სრულიად არაკომერციული იყო და არ ჰქონდა სავაჭრო ღირებულება[2]. თუმცა, შემდეგ ხელოვნების ნიმუშის მხატვრული ღირებულება კონცეფციისა და ფორმის ინტერპრეტაციის

---

[1] The Guardian, 2011 წ. 8 დეკემბერი
https://www.theguardian.com/artanddesign/2011/dec/08/anselm-kiefer-art-white-cube?fbclid=IwAR3iqsyVqV2f_RJ3chVJW8n0Vs-9N7f5JRzODeWgk8UqKdfNDqiDAElRPpQ

[2] მერილინ სთოქსთედი, მაიკლ ვ. ქოთრენი, “ხელოვნების ისტორია XVIII საუკუნიდან დღემდე”, “თავი IV - საერთაშორისო ვითარება 1950 წლის შემდეგ”, “კონცეპტუალური ხელოვნება და პერფორმანსი”, გვ.197

შესაძლებლობებით განისაზღვრა. მაგრამ პრობლემები ნამუშევრების აღქმისას მაინც შეიქმნა. საზოგადოება, რომელიც ტრადიციულ მასალაში შესრულებული ნამუშევრების დათვალიერებას იყო მიჩვეული, სადაც სურათის კომპოზიცია განწყობასა და ემოციებზე მოქმედებდა, კონცეპტუალური ხელოვნების ფორმა სრულიად უცხო და გაუგებარი აღმოჩნდა. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ნამუშევრებს ემოციური დატვირთვა არ ჰქონდა. მაყურებელში ემოციას ფიქრისა და ინტერპრეტაციის პროცესი იწვევდა. ამ ტიპის ხელოვნება მაყურებელს სხვადასხვა აზრისა თუ იდეის წარმოშობისკენ უბიძგებდა. ზოგადად, კონცეპტუალური ხელოვნების გააზრებისას არ არსებობს ერთი სწორი პასუხი. ნამუშევრის ინტერპრეტაციით არა პასუხები, არამედ შეკითხვები ჩნდება. შესაბამისად, მაყურებლის ემოციური მდგომარეობაც ცვალებადი და ხშირად ურთიერთსაპირისპიროა.

კონცეპტუალური ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფიგურაა იაპონური წარმოშობის არტისტი - ონ კავარა. ის 1932 წელს აიჩის პრეფექტურაში, ქალაქ ქარიასიში დაიბადა. ონ კავარას ოჯახში შექმნილი იყო ინტელექტუალური გარემო, რომელიც ძირითადად ბუდისტურ, შინტოისტურ და ქრისტიანულ მოძღვრებებს ეფუძნებოდა. ონ კავარაზე, როგორც მოზარდზე, უმძიმესი და წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჰიროსიმასა და ნაგასაკიში ატომური ბომბის ჩამოგდებამ. ამ ფაქტმა თინეიჯერი იაპონელი ბიჭისთვის ჰუმანიზმი და ზოგადად, მორალური ღირებულებები კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა[3]. მოგვიანებით, ონ კავარამ ეს ტრავმა გამოცდილებად აქცია და შემოქმედებაში არსებობის, სიცოცხლის იდეას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა.

სკოლის დამთავრების შემდეგ ონ კავარა ტოკიოში გაემგზავრა, სადაც პოლიტიკის მეცნიერება, ევროპული ფილოსოფია და ფსიქოანალიზის თეორია შეისწავლა. 1959 წელს ის მამასთან ერთად მეხიკოში გადავიდა საცხოვრებლად. შორეული აღმოსავლეთის ქვეყნიდან ცენტრალურ ამერიკაში მოხვედრილ ახალგაზრდა ბიჭზე ქალაქის განსხვავებულმა რიტმმა დიდი შთაბეჭდილება დატოვა. მოგვიანებით, ონ კავარა იხსენებდა, რომ მექსიკასა და იაპონიაში დროის აღქმა სრულიად განსხვავდებოდა. თუკი იაპონიაში ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა, მექსიკაში განრიგი ხშირად არაზუსტი და ცვალებადი იყო[4]. ნიშანდობლივია, რომ შემდგომში ონ კავარასთვის, როგორც არტისტისთვის, დროის ცნება მთავარი კონცეფცია გახდება. თუმცა, საინტერესოა, რომ ის არც კი ეცადა ფოტოგრაფიის გამოცდილების გაზიარებას, რაც წამის დაჭერას, მომენტის აღბეჭდვას, დროის შეჩერებას გულისხმობს. მისი თარიღების სერია, "Today", პირიქით, დროის შეუჩერებელ მსვლელობასა და ამ დროში თარიღების მნიშვნელობას ეხმიანება.

ონ კავარას "Today"-ს კონცეპტი დაფუძნებული იყო დროის მიმართ ადამიანების დამოკიდებულებაზე. სერიაში თითოეული თარიღი წარმოადგენს ისტორიას, წარსულს, რომელიც კაცობრიობისთვის, ყველა კონტინენტზე მცხოვრები ადამიანებისთვის საერთოა. საქმე იმაში მდგომარეობს, მაყურებელი როგორ და რა ფორმით აღიქვამს დროის დინებას. კონკრეტულ თარიღში მოქცეულია ისტორიული პროცესები და ამავდროულად, ადამიანების პირადი ცხოვრება. ონ კავარა სწორედაც რომ ამ შეუჩერებელ დინებაში, დროის მსვლელობაში, მონიშნავს საკუთარ არსებობას და ამ სერიით მაყურებელსაც იმავეს „აიძულებს""[5].

ამერიკაში, პარიზსა და ესპანეთში მოგზაურობის შემდეგ 1964 წლიდან ონ კავარა ამერიკაში საბოლოოდ გადადის. ნიუ-იორკში ჯერ "წარწერების" შემდეგ კი თარიღების სერიის, "Today-ს" ("დღევანდელი დღე") შექმნას იწყებს. ერთ-ერთი პირველი, ვიეტნამის ომის მიმართ მიძღვნილი

[3] https://www.theartstory.org/artist/on-kawara/

[4] https://www.theartstory.org/artist/on-kawara/ იქვე;

[5] თათია ბარბაქაძე, სამაგისტრო ნაშრომი, "ვიზუალური ნიშნები და ტრადიციული მასალის ინტერპრეტაცია ლია ბაგრატიონის შემოქმედებაში", 2021 წ. გვ. 38 და 39

ნამუშევარი - “წარწერა, 1965” იყო. მინიმალისტური ხერხებით შესრულებული ნამუშევრით არტისტმა ამერიკის მიერ ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვა გააპროტესტა. ნამუშევარი ოთხკუთხედ ფორმატზე თეთრი საღებავით დაწერილი თარიღითა და სიტყვებისგან შედგება. არტისტი, სიტყვებითა და თარიღით შექმნილი ერთგვარი კოდით, მესიჯით, ცდილობდა მაყურებლამდე სათქმელის მიტანას და ომის გაპროტესტებას. ნამუშევარი ტრადიციული ტრიპტიხის იდეას იმეორებს. მიუხედავად იმისა, რომ მარცხენა და მარჯვენა პანელს დამოუკიდებელი მნიშვნელობაც აქვს ისინი შუაში მოთავსებულს ყოველთვის იდეურად უკავშირდება. ასეა ამ შემთხვევაშიც. არტისტი მაყურებლისთვის ქვეყანას, ვიეტნამს, კონკრეტული დროის მონაკვეთში მონიშნავს. შემდეგ კი დამთვალიერებელს ინტერპრეტაციის საშუალებას აძლევს. ვიეტნამის ომს სხადასხვანაირი კონტექსტი შეიძლება ჰქონდეს. მაყურებლისთვის ეს შესაძლოა, იყოს პოლიტიკასთან, შეირაღებულ მოქმედებებთან, ეკონომიკასთან ან მსხვერპლთან დაკავშირებული აზრები, ფიქრები და შეგრძნებები.

არტისტს პოლიტიკური და სოციალური მოვლენები აინტერესებდა იმდენად, რამდენადაც მიიჩნევდა, რომ ეს ყველაფერი გავლენას ახდენდა საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ამიტომ “Today-ს” ექსპოზიცია ხშირად თარიღებთან ერთად პრესის გამოფენასაც გულისხმობდა. გამოფენის მომზადებისას ონ კავარა სადაც იმყოფებოდა, იმ ქალაქში გამოსულ გაზეთებს ნამუშევრებთან ერთად გამოფენდა, ხოლმე. ამით არტისტი თარიღებს ამბად აქცევდა და მაყურებელს კონკრეტულ მომენტსა თუ კონტექსტში განხილვას სთავაზობდა. შესაბამისად, ონ კავარას ამ სერიაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას თარიღის კონტექსტი იძენს. ზოგადად, ნამუშევრის კონტექსტი და ფორმის ანალიზი ის მთავარი ფაქტორებია, რომლებიც ხელოვნების ისტორიას ასეთ მიმზიდველსა და საინტერესოს ხდის. სამოქალაქო განათლების ლექსიკონში კონტექსტი განმარტებულია, როგორც კონკრეტული სიტუაციისთვის დამახასიათებელი მოვლენები და პროცესები, რომლებიც გავლენას ახდენს ინდივიდის ქცევაზე[6]. მოვლენები და პროცესები, როგორც წესი, მოიცავს პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, რელიგიურ, ტექნოლოგიურ და კულტურულ ასპექტებს. შესაძლოა, ყველა ეს ფაქტორი ერთდროულად გახდეს მნიშვნელოვანი ან რომელიმე მათგანმა ავტონომია მოიპოვოს და კონტექსტის განმსაზღვრელად იქცეს. ამასთანავე, კონტექსტზე მსჯელობისას ყოველთვის გასათვალისწინებელია მისი ცვალებადი ბუნება. ეს საკითხი მაშინ იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, როცა საქმე ხელოვნების ნიმუშის კონტექსტში აღქმას ეხება. კონტექსტის შეცვლით ერთი და იგივე ნამუშევარი შესაძლებელია მაყურებელმა სრულიად განსხვავებულად აღიქვას. ასე მოხდა ონ კავარას აქციის შემთხვევაშიც. 1997 წელს არტისტმა თარიღების სერიის რამდენიმე პანელი მთელი მსოფლიოს მასშტაბით საბავშვო ბაღებში განათავსა[7]. ამით კი მთლიანად შეცვალა “Today-ს” მანამდე არსებული კონტექსტი. ონ კავარამ მოძრავ გამოფენას “სუფთა ცნობიერება” უწოდა. არტისტმა სერია ბავშვის განვითარების იმ ეტაპს დაუკავშირა, როდესაც პატარები პირველად ისმენენ ამბებს ანბანის, რიცხვებისა და დროის შესახებ[8]. ამ აქციას არ ჰქონია საგანმანათლებლო მიზნები. არტისტის ჩანაფიქრი თარიღების სერიის კონტექსტის შეცვლა იყო. ბავშვები, ყოველგვარი წინარე ცოდნისა და გამოცდილების გარეშე, აღიქვამდნენ პანელებს ზომით, ფორმით და მათზე დაწერილი სიტყვებისა და რიცხვების საშუალებით. პატარები სიტყვებსა და თარიღებს თავიანთი წარმოდგენით ასოებისა და რიცხვების ჯადოსნურ სამყაროსთან აკავშირებდნენ.

---

[6] http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=4824

[7] https://www.onemillionyearsfoundation.org/installations/pure-consciousness

[8] https://www.onemillionyearsfoundation.org/installations/pure-consciousness იქვე;

გუგენჰაიმის მუზეუმში ონ კავარას ნამუშევრების სრული რეტროსპექტივა 2015 წელს მოეწყო. გამოფენის სახელწოდება ასე ჟღერდა: "ონ კავარა - სიჩუმე". გუგენჰაიმის საგამოფენო სივრცეში სხვა ნამუშევრებთან ერთად თარიღების სერიაც გამოიფინა. აღსანიშნავია, რომ ეს იყო ბოლო გამოფენა, რომლის დაგეგმვაშიც არტისტი თავად მონაწილეობდა. მუზეუმის მიერ მასწავლებლებისთვის მომზადებულ გზამკვლევში "Today-ს" სერიის შესახებ აღნიშნულია, რომ ონ კავარა თარიღების შერჩევისას რაიმე კონკრეტული პრინციპით არ ხელმძღვანელობდა. ზოგიერთი თარიღი პირად ამბავს, ზოგი კი - ისტორიულ მოვლენას უკავშირდებოდა. სერია საუბრობს იდეაზე, რომ კალენდარი ადამიანების მიერ შემუშავებული კონსტრუქციაა, რომელიც კულტურულ კონტექსტსა და პერსონალურ გამოცდილებაზეა დამყარებული[9]. და მაინც, დროის აღქმა ინდივიდუალურია. გამოფენისთვის მომზადებული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანიც სწორედ ეს იყო, რომ ერთი მხრივ, მოსწავლეებს დროის ცნების, მისი უწტყვეტი მსვლელობის შესახებ მოსაზრებები გამოეთქვათ და მეორე მხრივ, "Today-ს" კონტექსტში "საკუთარი თარიღის" მნიშვნელობა გაეაზრებინათ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მერილინ სთოქსთედი, მაიკლ ვ. ქოთრენი, "ხელოვნების ისტორია XVIII საუკუნიდან დღემდე", "თავი IV - საერთაშორისო ვითარება 1950 წლის შემდეგ", "კონცეპტუალური ხელოვნება და პერფორმანსი", წიგნი გამოცემულია თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მიერ, 2017 წ.
2. თათია ბარბაქაძე, სამაგისტრო ნაშრომი, "ვიზუალური ნიშნები და ტრადიციული მასალის ინტერპრეტაცია ლია ბაგრატიონის შემოქმედებაში", 2021 წ.
3. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=4824
4. The Guardian, 2011 წ. 8 დეკემბერი https://www.theguardian.com/artanddesign/2011/dec/08/anselm-kiefer-art-white-cube?fbclid=IwAR3iqsyVqV2f_RJ3chVJW8n0Vs-9N7f5JRzODeWgk8UqKdfNDqiDAElRPpQ
5. https://www.theartstory.org/artist/on-kawara/
6. https://www.onemillionyearsfoundation.org/installations/pure-consciousness
7. Solomon R. Guggenheim Museum, Teacher Resource Unit," On Kawara—Silence", PAINTINGS: TODAY SERIES/DATE PAINTINGS https://www.guggenheim.org/wp-content/uploads/2019/12/guggenheim-teaching-materials-on-kawara.pdf

[9] "Solomon R. Guggenheim Museum, Teacher Resource Unit," On Kawara—Silence", PAINTINGS: TODAY SERIES/DATE PAINTINGS https://www.guggenheim.org/wp-content/uploads/2019/12/guggenheim-teaching-materials-on-kawara.pdf